სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აკადემიური მხარდაჭერისა და კვლევის კეთილსინდისიერების მხარდამჭერი სერვისები და სამოქმედო გეგმა

განხილული და დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს სხდომაზე:

ოქმი № 2 23. 02. 2026 წ.

სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის
სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი,
აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე: ნანა ჭკადუა

თელავი
2026 წელი

იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური მხარდაჭერისა და კვლევის კეთილსინდისიერების მხარდამჭერი სერვისები და სამოქმედო გეგმა

თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი კვლევის კეთილსინდისიერების მხარდამჭერი მექანიზმებიდან განავითარებს შემდეგ სერვისებს:

კვლევითი იდეების წინასწარი შეფასება და ეთიკურად მგრძნობიარე პროექტის დიზაინის სერვისი

უნივერსიტეტი მნიშვნელოვნად მიიჩნევს კვლევის იდეების წინასწარ შეფასებას და ეთიკურად მგრძნობიარე პროექტების წინასწარ განხილვას. ეს მხოლოდ წაადგება მკვლევარს უნივერსიტეტის მიერ დაფინანსების მოპოვებამდე შეძლოს კვლევა წარადგინოს ეთიკურად გამართული საწყის ეტაპზე. ასევე მნიშვნელოვანია ეთიკურად მგრძნობიარე კვლევების განხილვა სამართლებრივი კუთხით, რათა წინასწარ იყოს გამორიცხული სავარაუდო გაუგებრობები.

ასეთი სერვისის საშუალებით მოხდება კვლევის წინასწარ გაანალიზება. გაითვლება სავარაუდო საფრთხეები როგორც განსაკუთრებით მგრძობიარე საკითხებზე, ასევე ადამიანთა კონკრეტულ ჯგუფებზე.

საკვლევი საკითხის ასეთი კუთხით შესწავლა მინიმუმამდე დაიყვანს კვლევის მეთოდების თუ კვლევისთვის საჭირო სხვა აუცილებელი კომპონენტების გააზრებას და მათ იდენტიფიცირებას.

აღნიშნული სერვისი ეთიკური პრობლემების წინასწარ აღმოჩენასა და დროის გონივრულ გამოყენებასთან ერთად, ნამდვილად შეამცირებს მკვლევართა უკმაყოფილებას. თესაუში სამეცნიერო კონფერენციების საორგანიზაციო ჯგუფები, ყოველწლიურად ახორციელებენ უნივერსიტეტის მაგისტრანტთა და დოქტორანტთა სამეცნიერო კონფერენციების მონიტორინგს. ხდება საკვლევი საკითხების განხილვა და ანალიზი. გარდა კონფერენიებისა, კონკრეტული მიმართვის შემთხვევაში, ხდება ავტორთა ნაშრომების შეფასებაც.

კვლევის მხარდაჭერის მეორე ინსტრუმენტი, რომელსაც თესაუ განახორციელებს არის **კვლევის მხარდაჭერის ინსტრუმენტებისა და რესურსების შესწავლა.**

კვლევის მხარდაჭერის ინსტრუმენტებისა და რესურსების შესწავლით მკვლევრებს საშუალება ექნებათ პერიოდულად მიიღონ საჭირო ინფორმაცია სიახლეებზე და ჰქონდეთ წვდომა სათანადო სერვისებსა და ტექნოლოგიებზე. ამ კუთხით აქტიურად იქნება ჩართული უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა და საინფორმაციო ტექნოლოგიების

სამსახური. უნივერსიტეტი უზრუნველყოფს ტრენინგების მოწყობას და საერთაშორისო გამოცდილების გაზიარებას როგორც ლექტორებისათვის, ასევე სტუდენტებისათვის.

ინფორმაციის რეგულარული გადაცემა იქნება ერთ-ერთი საუკეთესო საშუალება კვლევის ეთიკურად წარდგენის თვალსაზრისით. ადვილად ხელმისაწვდომი სიახლეები, პერიოდული ტრენინგები და ვორქშოპები, სერიოზული მხარდაჭერას გაუწევს მკვლევარებს, კვლევს ეთიკურად წარმართვისათვის.

თესაუში გარკვეული სიხშირით ეწყობა საინფორმაციო შეხვედრები უნივერსიტეტის სტუდენტთა და მკვლევრებისათვის. იგივე სამიზნე ჯგუფებისთვის მუდმივად ეწყობა ტრენინგები ბიბლიოთეკის თანამშრომელთა და ტრენერების მონაწილეობით. სტუდენტებისა და დოქტორანტებისათვის ჩატარდა ტრენინგები წერითი ნაშრომების მოსამზადებლად საჭირო ინსტრუქციის და ლიტერატურის დამოწმების წესების შესახებ.

ასევე მოეწყო ვორქშოფები და ლექციების ციკლი უნივერსიტეტის კვლევითი ნაშრომების ხელმძღვანელებისთვის, აკადემიური კეთილსინდისიერების თვალსაზრისით.

მენტორობისა და ქოუჩინგის სერვისი წარმოადგენს ერთ-ერთ ძირითად მხარდამჭერ მექანიზმს როგორც ნაკლებადგამოცდილ მკვლევართათვის, ასევე მაგისტრებისა და დოქტორანტებისათვის.

კვლევის პროცესის კეთილსინდისიერად წარმართვისათვის და პროფესიული ზრდისთვის უმნიშვნელოვანესია მკვლევართათვის ცოდნის გადაცემისა და კვლევის უნარების განვითარების ხელშეწყობა. შესაბამისი სერვისი სხვადასხვა ეფექტური საშუალებებით ახდენს აღნიშნული სამიზნე ჯგუფების სწავლება–განვითარებას.

შედეგად ხდება ახალი პრაქტიკული ცოდნის შეძენა უშუალოდ, გამოცდილი კოლეგებისგან, იზრდება თავდაჯერებულობისა და კვლევის ხარისხი.

თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტში შექმნილია აკადემიური კეთილსინდისიერებისა და სტუდენტთა კონსულტაციის ცენტრი, რომელიც გარკვეული პერიოდულობით უწევს ინდივიდუალურ კონსულტაციებს მკვლევარებს, ქმნის/გადაამუშავებს კვლევის ეთიკის კოდექსს და სხვა საჭირო დებულებებს, მონაწილეობს და გეგმავს კვლევის ეთიკასთან დაკავშირებულ სხვა აქტივობებს.

აღნიშნული აქტივობების შესასრულებლად უნივერსიტეტში გაიმართება

დაგეგმილი აქტივობა	2026	2027	2028	2029	3030	პასუხისმგებელი პირი/ სტრუქტურა
ტრენინგები და ვორქშოფები აკადემიური პერსონალისათვის	მარტი-აპრილი	მარტი აპრილი	მარტი-აპრილი	მარტი-აპრილი	მარტი-აპრილი	აკადემიური კეთილსინდისიერებისა და სტუდენტთა კონსულტაციის ცენტრი
ტრენინგები და ვორქშოფები დოქტორანტებისა და მაგისტრებისათვის	აპრილი-მაისი	აპრილი-მაისი	აპრილი-მაისი	აპრილი-მაისი	აპრილი-მაისი	აკადემიური კეთილსინდისიერებისა და სტუდენტთა კონსულტაციის ცენტრი
საკვლევი საკითხების განხილვა და ანალიზი	აპრილი-ივნისი	აპრილი-ივნისი	აპრილი-ივნისი	აპრილი-ივნისი	აპრილი-ივნისი	სამეცნიერო კონფერენციის საორგანიზაციო კომიტეტი, ცენტრი
უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის და IT სამსახურის მიერ დაგეგმილი ტრენინგები მკვლევართათვის	მაისი-ივნისი	მაისი-ივნისი	მაისი-ივნისი	მაისი-ივნისი	მაისი-ივნისი	ბიბლიოთეკა,IT, აკადემიური კეთილსინდისიერებისა და სტუდენტთა კონსულტაციის ცენტრი
აკადემიური კეთილსინდისიერებისა და სტუდენტთა კონსულტაციის ცენტრის დებულებით განსაზღვრული საქმიანობის მხარდაჭერა	აპრილი ივნისი ნოემბერი-თებერვალი	აპრილი ივნისი ნოემბერი-თებერვალი	აპრილი ივნისი ნოემბერი-თებერვალი	აპრილი ივნისი ნოემბერი-თებერვალი	აპრილი ივნისი ნოემბერი-თებერვალი	აკადემიური კეთილსინდისიერებისა და სტუდენტთა კონსულტაციის ცენტრი

სასწავლო/ საინფორმაციო ვიდეორგოლების დამზადება	ოქტომბერი-ნოემბერი	აპრილი ივნისი	ოქტომბერი-ნოემბერი	აპრილი ივნისი	ოქტომბერი-ნოემბერი	აკადემიური კეთილსინდისიერებისა და სტუდენტთა კონსულტაციის ცენტრი, ინტერნაციონალიზაციის სამსახური